7	ფინანსური ბაზრები	მაკროეკონომიკის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74					X				
8	ფინანსური რისკები	ფინანსების საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74					X				

9	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74							X		
10	საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო რთობები	ფინანსების საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74							X		
11	ტრანსნაციონალური კორპორაციის ფინანსები	ფინანსების საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74							X		
12	საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125	15	30	6	51	74							X		
13	ეკონომეტრიკის საფუძვლები	მათემატიკა 2	5	125	15	30	6	51	74								X	
14	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	ბუღალტერიის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74								X	
15	მარკეტინგის მენეჯმენტი	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74								X	
16.	ოჯახის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74									X
17	ინოვაციების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15	30	6	51	74									X
პრაქტიკული კომპონენტი – 10 კრედიტი																		

1	პროფესიული პრაქტიკა	მინ.200კრედიტი ს შესრულება მ.შ. ყველა სპეციალობის სავალდებულო - 125 + 35; და არჩევითი კურსები - 40;	10	250	-	-	6	198	52										X
---	------------------------	--	----	-----	---	---	---	-----	----	--	--	--	--	--	--	--	--	--	---

თავისუფალი კრედიტები -20 კრედიტი

	საუნივერსიტე ტო კურსებიდან ან მობილობით გადმოსული სტუდენტების მიერ გავლილი კურსებიდან 20 კრედიტის ფარგლებში	თითო კურსის საათების განაწილება და სემესტრები (5კრედიტიანი 4 კურსი. წინაპირობის გარეშე)	5	125	15	30	6	51	74			X			X	X	X	
	კრედიტების ჯამი სემესტრების მუხედვით		240							30	30	30	30	30	30	30	30	

სტუდენტს, თავისი არჩევანისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად, შეუძლია 20 თავისუფალი კრედიტის ფარგლებში აირჩიოს 5 კრედიტიანი 4 სასწავლო კურსი, როგორც ამავე საფეხურის სხვა პროგრამიდან ასევე ამ პროგრამით შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი იმ სასწავლო კურსებიდან, რომელის გავლაც არ არის პროგრამით ჩათვლილი სავალდებულოდ.

მოზილობით გადმოსულ სტუდენტების თავისუფალ კრედიტებში შეიძლება უღიარდეთ მათ მიერ სხვა უმაღლეს სასწავლებელში გავლილი კურსები.

2.3. სასწავლო კურსების სწავლა-სწავლება და შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორი სწავლების პროცესში იყენებს სხვადასხვა მეთოდს, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ:

ლექცია – სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული თემების განხილვა. სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა /პრაქტიკული მეცადინეობა - სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და დავალების მიცემა, რომელსაც შეასრულებენ ინდივიდუალურად და უზიარებენ ერთმანეთს ან ინაწილებენ დავალებას და შემდგომ ერთობლივად მუშაობენ; ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სხვისი მოსაზრების მოსმენას, გათვალისწინებას. ლექციაზე განხილული საკითხების განხილვა-გაცნობიერება, პრაქტიკული სახის მაგალითების განხილვა, ანალიზი და შეფასება.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა, რომელიც მოიცავს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას, შესწავლას, გაცნობიერებას ყოველდღიური დავალების შესრულებისას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისთვის.

წერიტი სამუშაო - შუალედური და საბოლოო გამოცდები ტარდება წერიტი/ზეპირი ფორმით.

პრაქტიკა - პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას.

პროფესიული პრაქტიკის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანებია: სტუდენტთა განაწილება საწარმოებში/ორგანიზაციებში მათი დარგი/სპეციალობის შესაბამისად, პრაქტიკის პროცესის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. პროფესიული პრაქტიკა წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი ტარდება VIII სემესტრში. მისი მიზანია, ბაკალავრის თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცება, ბიზნესის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისა და განსაზღვრის გამოცდილების შექმნა. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი ეცნობა სამუშაოს შინაარსს,

აგროვებს ფაქტიურ მასალას, ადგენს სქემებს, ეცნობა ინსტრუქციებს, დოკუმენტაციას, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს და კონკრეტულ წინადადებებს.

სტუდენტები ავსებენ პრაქტიკის დღიურს. დაცვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებებთან და ბიზნესის ფაკულტეტზე. (დაცვაზე დასაშვებად სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შევსებული დღიური ბეჭდით დამოწმებული, პრაქტიკის ობიექტიდან ხელმძღვანელის დახასიათება და პრაქტიკის ანგარიში).

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - თეორიული მასალის ვერბალური პრეზენტაცია - დავალებით განსაზღვრული თემატიკის ფარგლებში სტუდენტის თეორიული ცოდნის შემოწმება.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და წარმოადგენენ თავის დასკვნას.

სავარჯიშოები/სიტუაციური ამოცანები - სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება/ წარმოება;

პროექტის პრეზენტაცია - ერთჯერადი, მიზანმიმართული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს პროექტის დასაბუთებას, ანალიზს, რესურსებისა და საქმიანობის დაგეგმვას, პროექტის განხორციელების რისკების გათვალისწინებას, პროექტის ობიექტის ეფექტიანობის შეფასებას.

რეფერატი- მოსამზადებლად სტუდენტს დასჭირდება დამატებითი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და წერილობითი სახით ჩამოყალიბება. ეს განუვითარებს მას სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების, ლოგიკურად ჩამოყალიბებული თემის წერისა და მისი ეფექტური ფორმით პრეზენტაციის უნარს.

შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი- ბიზნეს -გეგმა - ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე მცირე ფორმატის სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოს ჩატარება და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ცოდნის პრაქტიკული გაღრმავება. სტუდენტი ავასებს, აანალიზებს, მსჯელობს, ასაბუთებს და იყენებს ცოდნას ;

ქვიზი - წერილობითი ნამუშევარი, რომელიც მოიცავს განვლილი მასალის ფარგლებში კონკრეტული შემთხვევების შეფასებასა და ცოდნისა ინტეგრირების უნარის შემოწმებას.

დისკუსია/დებატები - დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ამასთან, უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფა და მათთვის დავალების მიცემა. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში.

პრეზენტაცია - ნამუშევარის ეფექტური ფორმით წარდგენა აუდიტორიისათვის.

უცხო ენის სწავლების პროცესში ასევე გამოიყენება :

კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და აერთიანებს ამ მიმართულებით ეფექტურ მრავალ სხვა მეთოდს, რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ჩვენი სასწავლო კურსის სწავლებისას.

წყვილური მუშაობა (pairwork) -ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. წყვილები ერთობლივად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ დანარჩენ წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სწავლა სწავლებით — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება უფრო კოორდინატორად, ვიდრე მასწავლებლად, რადგან სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. შესაბამისად ეს მეთოდი განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი-ლექცია/პრაქტიკულ მეცადონეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი- რომლის მთავარი მიზანია წერიტი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

შენიშვნა: სწავლის შედეგების ზემოთ დასახელებული მეთოდები და ასევე სხვა მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალურად.

2.4.სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კუსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) მოსწრება ფასდება ევროპული 100 ქულიანი შეფასების სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა ;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60ქულა.

ბ)ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება ;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, რომელიც უტოლდება საბოლოო შეფასების 100%-ს.

სტუდენტის სემესტრული შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სტუდენტის მუშაობის ხარისხის ამსახველი სხვადასხვა კომპონენტები. თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს ქულების გარკვეული რაოდენობა, კერძოდ,

-შუალედურ სემესტრულ შეფასებას (მაქსიმუმ 60 ქულა; მინიმუმ 19 ქულა), დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - შუალედური სემესტრული შეფასება (60 ქულა) შედგება;

ა) I და II შუალედური გამოცდა – ფასდება მაქსიმუმ 30 (15+15) ,ტარდება წერიითი/ზეპირი ან კომბინირებული ფორმით მე-6 და მე-12 კვირას.

ბ) სხვა აქტივობები - 30 ქულა (მასალის ვერბალური პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი (Case study), ჯგუფური მუშაობა, დებატებში მონაწილეობა, პრეზენტაცია, რეფერატების მომზადება, და სხვ.) აღნიშნულ კომპონენტებზე გათვალისწინებული ჯამური 30 ქულა. ლექტორს შეუძლია გადაანაწილოს შეხედულების მიხედვით აქტივობა -სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის მომზადება პრეზენტაცია, ქვიზი,დისკუსია და სხვ. (დაკონკრეტებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში) გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს არა ნაკლებ 19 ქულა.

-დასკვნით გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა – 40 ქულა; მინიმალური , გადასალახი ბარიერი 13 ქულა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში (FX)-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის გავლის შემდეგ.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებით სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმებია: სტუდენტთა სოციალური პროექტების მხარდაჭერა, სტიპენდია, სტუდენტთა კონფერენციის ადგილზე დაფინანსება, სპორტული და კულტურული ღონისძიებების კერძოდ: ფაკულტეტის დეკანატი, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებულობას.

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ, ბაკალავრს შეუძლია სახელმწიფო, ან კერძო სექტორში დაიკავოს ქვედა, შუალედურ ან მაღალ რგოლში "სპეციალისტის" თანამდებობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს პროფესიული საქმიანობა - საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სფეროს კომპანიებში, აგრეთვე, საპენსიო ფონდებში, საინვესტიციო და აუდიტორულ ფირმებში, საბაჟო,

საგადასახადო სისტემის რგოლებში, , იმ პოზიციებზე სადაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნაა. საბაზრო ეკონომიკამ , სამეწარმეო და ბიზნეს სფეროების ამოქმედებით, ათასობით ადამიანის დასაქმება გამოიწვია. შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა. ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე -მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1.ადამიანური რესურსი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო პროცესს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები – მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორები, პროფესორები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი:

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

№	სასწავლო კურსის დასახელება	სახელი და გვარი	სტატუსი(აკადემიური თანამდებობა/მოწვეული
1.	აკადემიური წერა	ნანა ნიკოლაძე ელისო ლაკვეხელიანი	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ნიკოლოზ ბჟალავა	მოწვეული სპეციალისტი
3	საქართველოს ისტორია	გიორგი კიკნაძე	მოწვეული სპეციალისტი

4	უცხო ენა -ინგლისური 1 (B1.1)	თამარი პეტრიაშვილი ნელი გოჩიაშვილი	პროფესორი მოწვეული სპეციალისტი
5	უცხო ენა - ინგლისური 2 (B1.2)	თამარი პეტრიაშვილი სალომე ბენიძე	პროფესორი მოწვეული სპეციალისტი
6	უცხო ენა ინგლისური 3 (B2.1)	ნონა ყველაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
7	უცხო ენა ინგლისური 4 (B2.2)	ნონა ყველაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
8	ცივილიზაციის ისტორია	გიორგი კიკნაძე	მოწვეული სპეციალისტი
9	მეტყველების კულტურა	ნანა ნიკოლაძე	ასოცირებული პროფესორი
10	კულტურული ანთროპოლოგია	ნანა ჩიკვილაძე	ასოცირებული პროფესორი
11	პირველადი სამედიცინო დახმარება	სერგო ციცხვაია	ასოცირებული პროფესორი
12	საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	ელისო ლაკვეხელიანი	ასოცირებული პროფესორი
13	კულტუროლოგია	ნანა ჩიკვილაძე	ასოცირებული პროფესორი
14	მათემატიკა 1	ზურაბ თედიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
15	მიკროეკონომიკის საფუძვლები	აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე ზურაბ ჯორბენაძე	პროფესორი მოწვეული სპეციალისტი
16	მათემატიკა 2	ზურაბ თედიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
17	ფინანსების საფუძვლები	აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	პროფესორი
18	ბიზნესის საფუძვლები	ვახტანგ დათაშვილი	მოწვეული სპეციალისტი

19	მაკროეკონომიკის საფუძვლები	აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე	პროფესორი
20	სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში	მედეა პავლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი.
21	ბუღალტერიის საფუძვლები	სოფიო ბლიაძე	ასოცირებული პროფესორი
22	მენეჯმენტის საფუძვლები	ვახტანგ დათაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
23	მარკეტინგის საფუძვლები	მურმან ბლიაძე აკაკი მურადიშვილი	პროფესორი ასისტენტ-პროფესორი
24	საგადასახადო საქმე	მურმან ბლიაძე გულნარა იმედაშვილი	პროფესორი პროფესორი
25	სადაზღვევო საქმე	მედეა პავლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
26	ბიზნეს სამართალი	რევაზ ცინცაძე ავთანდილ კახნიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი ასოცირებული პროფესორი
27	საერთაშორისო ბიზნესი	ლელა მენაბდიშვილი	პროფესორი
28	ფინანსური მენეჯმენტი	ვახტანგ დათაშვილი მედეა პავლიაშვილი	პროფესორი ასოცირებული პროფესორი
29	საბანკო საქმე	გულნარა იმედაშვილი მურმან ბლიაძე	პროფესორი პროფესორი
30	აუდიტის საფუძვლები	სოფო ბლიაძე	ასოცირებული პროფესორი
31	ფინანსური ანგარიშგება	სოფიო ბლიაძე მედეა პავლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
32	ორგანიზაციის თეორია	ლელა მენაბდიშვილი	პროფესორი
33	ოპერაციული მენეჯმენტი	ნინო ჩიკვილაძე	მოწვეული სპეციალისტი
34	პროექტების მართვა	ალექსი ნონიაძე	პროფესორი
35	საჯარო ფინანსები	ნაირა ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი

36	პერსონალის მართვა	აიდა ქიტაშვილი - კვაჭანტირაძე	პროფესორი
37	ინვესტიციების საფუძვლები	ვახტანგ დათაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
38	ბიზნეს ეთიკა	ელისო ლაკვეხელიანი	ასოცირებული პროფესორი
39	ეკონომიკური ანალიზი	აიდა ქიტაშვილი კვაჭანტირაძე	პროფესორი
40	მცირე ბიზნესის საფუძვლები	მურმან ბლიაძე ომარ გოცაძე	პროფესორი მოწვეული სპეციალისტი
41	კონფლიქტების მართვა	თინათინ ზალდასტანიშვილი	ასოცირებული პროფესორი
42	საქართველოს ეკონომიკა	მარინა ბაღათურია	მოწვეული სპეციალისტი
43	ინოვაციების მენეჯმენტი	ალექსი ნონიაძე	პროფესორი
44	ფინანსური ბაზრები	მურმან ბლიაძე	პროფესორი
45	ფინანსური რისკები	ნაირა ტაბატაძე	მოწვეული სპეციალისტი
46	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	ალექსანდრე ნონიაძე	პროფესორი
47	საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები	ნაირა ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი
48	ტრანსნაციონალური კორპორაციის ფინანსები	აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	პროფესორი
49	საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები	ნაირა ტაბატაძე	ასოცირებული პროფესორი

50	ეკონომეტრიკის საფუძვლები	თამარ ბერიძე	მოწვეული სპეციალისტი
51	მარკეტინგის მენეჯმენტი	აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	პროფესორი
52	ბულალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	სოფო ბლიაძე	ასოცირებული პროფესორი
53	ოჯახის მენეჯმენტი	ლელა მენაბდიშვილი	პროფესორი
54	ბიზნეს ინგლისური	ეკატერინე მარუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
55	ბიზნეს-დაგეგმვა სამეწარმეო საქმიანობაში	აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	პროფესორი
56	პროფესიული პრაქტიკა	მარინა ბალათურია	მოწვეული სპეციალისტი

4.2. საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ფართით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, სილაბუსებით, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით; დამატებითი საინფორმაციო წყაროებით; გამოყენებულია აგრეთვე პრაქტიკული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკა. სტუდენტი მუშაობის პროცესში ისარგებლებს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია პროექტში ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის -eIFL კერძოდ ,უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- EBSCOHost (search.epnet.com)

- BioOne (www.bioone.org)
- IMF eLibrary (www.elibrary.imf.org)

სასწავლო უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია სამართლებრივ-საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა „კოდექს-R3” მონაცემთა ბაზის სახით, რომლითაც სარგებლობენ როგორც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაცია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პროგრამაში ჩართული პოტენციური დამსაქმებლების ჩამონათვალი:

ჯი პი აი ჰოლდინგი

შპს თრეველონი

შპს “საერთაშორისო სტომატოლოგის ცენტრი აისო”

შპს"გალაქსი კონსტრაქშენ

შპს"MTRADE"

შპს"ნიუ ენიჯინირინგ"

4.3. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით მას ფინანსურად უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე, სამეცნიერო ჟურნალების გამოცემასა და პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების დაბეჭდვაზე, ყოველწლიური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებასა და მასალების გამოქვეყნებაზე.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა და გარე შეფასება, რომელიც გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სასწავლო პროცესისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შიდა შეფასების, შესაძლო ხარვეზების, სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით, თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაეგმილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი მონიტორინგი, რაც გულისხმობს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვას. შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება განვითარების გზები, მოლოდინები, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და სხვ. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენენ ადექვატურ რეაგირებას.

განმახორციელებელი დაწესებულებისა და პროგრამის სამიზნე ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ:

- საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე , ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებზე სპეციალისტთა მომზადება აქტუალურია;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორი არამდგრადია და გლობალიზაციის ფონზე ინტეგრირებულია ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ეს გამოწვევა ზრდის მოთხოვნას ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე , როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან;
- უმაღლესი განათლების ბაზრის კონიუნქტურული კვლევები ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბიზნესის ადმინისტრირება ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებაა კვლავაც. საერთო მაკროეკონომიკური პრობლემების ფონზე, როდესაც გადახდისუნარიანი მოთხოვნა თითქმის ყველა საბაზრო სეგმენტზე მცირდება . თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს ბაზარს, განსაკუთრებით მის საშუალო ან/და დაბალშემოსავლიან სეგმენტს, ბიზნესის ადმინისტრირების კონკურენტუნარიან საბაკალავრო პროგრამას, შედარებით შეღავათიან ფასად, ანუ საგანმანათლებლო მომსახურებას, რომლის ხარისხიც ფასზე მაღალია;

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია რეალური და მიღწევადი მიზნების დასახვარეალიზაციაზე;

პროგრამის ძლიერი მხარეები

პროგრამის შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლები და მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები;

სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში ;
საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის განახლებულ სტანდარტებთან ;
საბაკალავრო პროგრამის გამართული სტრუქტურა;
სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესატყვისობა;
თავისუფალი კრედიტები;
პროგრამის სტრუქტურის ფართო სპექტრი, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მისი სურვილის მიხედვით აირჩიოს სასწავლო კურსი;
ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი სისტემა;
პროფილური სტრუქტურული ერთეული“ ეკონომიკური კვლევის ცენტრი“, რომელიც იძლევა პრაქტიკული უნარების გადმავების შესაძლებლობას;
სასწავლო პროცესის განვითარებისთვის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები / ხელშეკრულებები;
სასწავლო კამპუსების მოსახერხებელი ადგილმდებარეობა;
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საპროფესორო, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საკონფერენციო დარბაზი, უახლესი დარგობრივი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ინტერნეტში და საბიბლიოთეკო ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასი;
პროგრამის განხორციელებისას სწავლების თანამედროვე და აქტიური მეთოდების გამოყენება.

პროგრამის სუსტი მხარეები

უცხოურ სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა;
სტუდენტთა მცირე კონტინგენტი;

გარემო შესაძლებლობები

პოტენციურ დამსაქმებელთა აქტიური ჩართვა კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში;
საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობები;
უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, კვლევითი ცენტრების აქტიურ ფაზაში გადასვლა;
უცხოელი მეცნიერების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით;
უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა;
პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერება და დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამების გაუმჯობესებაში;
სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციებსა და ტრენინგებში პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდა;

ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა;

პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა დამატებითი გარე ფინანსური რესურსების მოძიებით, პროექტებით .

მისალოდნელი საფრთხეები

ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობის მხრივ მაღალი კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე;

დამსაქმებელთა მხრიდან მკაცრი მოთხოვნები;

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის პრობლემები ;

სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში;

სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებული რაოდენობა დაბალი გადახდისუნარიანობის გამო;

ქვეყნის მაკროეკონომიკური საქმიანი ციკლის არასტაბილურობა და ეკონომიკური რყევების თანმდევი მოვლენები.

წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამა არის უფრო მოქნილი და მობილური. მასში გათვალისწინებულია სტუდენტის გადმოსვლისას ყველა ის პრობლემები, რა შეიძლება განპირობებული იყოს დამატებითი კრედიტების წარმოქმნით, სხვადასხვა უნივერსიტეტების მოქმედი პროგრამების კურსების არ აღიარებიდან გამომდინარე. წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია, თავისუფალი 20 კრედიტის არჩევის შესაძლებლობა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მობილობის დროს მაქსიმალურად უღიარდეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გავლილი კურსები.

პროგრამის ხელმძღვანელები: აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე

გულნარა იმედაშვილი

ფაკულტეტის დეკანი

გულნარა იმედაშვილი

მოდიფიცირებულია: რექტორის 2019 წლის 28 მაისის № 076/01/5 ბრძანებით

შეთანხმებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

პროფ. დავით გუბელაძე.

